ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4616712

ნომერი: AR1697191

თარიღი : 26.07.2019

გაცემის თარიღი : 02.08.2019

გაცნობის თარიღი : 02.08.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა, N 33/პავლე ასლანიდის ქუჩა, N 40;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შუქრი კაკაურიძე პ/ნ 01019009108
- თბილისი დ.გურამიშვილის გამზ. N 14

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ.თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 23 სექტემბრის N917 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 26 ივლისს AR1697191 განცხადებით მომართა შუქრი კაკაურიძემ და მოითხოვა ქ.თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 23 სექტემბრის N917 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ N01.10.13.035.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე (ფართობი 2689 კვ.მ.) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით, 2009 წლის 23 სექტემბერს დამტკიცდა N917 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების

პირობები. 11.08.2017 წლის №3468604 ბრძანებით შევიდა ცვლილება 2009 წლის 23 სექტემბრის N917 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ახალი საკადასტრო კოდის დაფიქსირებით.
დღევანდელი მდგომარეობით, განმცხადებელი ითხოვს, 2009 წლის 23 სექტემბრის N917 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, ცვლილებას, კერძოდ, მიწის ნაკვეთის საზღვრების კონფიგურაციის, ფართისა და საკადასტრო კოდის ცვლილების დაფიქსირებას, რაც სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ.თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 23 სექტემბრის N917 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს საკადასტრო გეგმა N 01.10.13.035.053 (რეგისტრაციის ნომერი 882019489111; მომზადების თარიღი 10/07/2019.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი N 882019557643; მომზადების თარიღი: 11/07/2019);
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ.თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 23 სექტემბრის N917 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;
3. პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების სამსახურის განკარგულება 15.03.2010 წლის N926 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- I თავი ასახავს საფუძველმდებარე ინფორმაციას - საყრდენი მონაცემები მიწის ნაკვეთის შესახებ რომლის, ანრომელზე მდგომი შენობა-ნაგებობის განვითარებაც არის დაგეგმილი;
- II თავში მოცემულია ძირითადი მოთხოვნები (პირობები) - კანონმდებლობით უშუალოდ გათვალისწინებულივალდებულებები, მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობის) სამშენებლო განვითარებაზე;
- III თავში მოცემულია დამატებითი ან/და სპეციალური მოთხოვნები, რომელიც გათვალისწინებულია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57დადგენილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენლებით „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების” და სხვა მოქმედი ტექნიკურირეგლამენტებითა და ნორმატივებით;
- IV თავი შეიცავს ზოგად ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის II და III სტადიებთან დაკავშირებით.